

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2024 წლის 19 დეკემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლის საფუძველზე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26/12/2023 წელი 190020020.35.153.016681) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი (მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ელოშვილი

დანართი

თავი I

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	38,654.8	48,603.0	37,303.6	11,299.3	49,695.3	33,097.8	16,597.4
გადასახადები	21,967.2	26,336.2	26,336.2	-	27,274.7	27,274.7	-
გრანტები	7,050.2	11,299.3		11,299.3	16,612.6	15,1135	16,597.4
სხვა შემოსავლები	9,637.5	10,967.5	10,967.5	-	5,808.0	5,808.0	-
II. ხარჯები	25,767.0	31,729.8	30,553.0	1,176.8	42,627.5	40,523.2	2,104.3
შრომის ანაზღაურება	4,016.3	4,910.1	4,684.1	226.0	5,697.3	5,697.3	-



საქონელი და მომსახურება	5,930.3	7,914.4	7,209.7	704.6	11,152.1	9,787.3	1,364.8
პროცენტი	62.3	45.9	45.9	-	27.8	27.8	-
სუბსიდიები	13,770.9	16,591.1	16,345.0	246.2	19,738.8	19,468.5	270.3
გრანტები	42.0	67.0	67.0	-	192.0	192.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,156.7	1,319.5	1,319.5	-	1,294.1	1,294.1	-
სხვა ხარჯები	788.5	881.7	881.7	-	4,525.4	4,056.2	469.2
III. საოპერაციო სალდო	12,887.8	16,873.1	6,750.6	10,122.5	7,067.8	- 7,425.4	14,493.2
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,808.0	17,625.5	9,707.7	7,917.8	42,960.6	25,963.6	16,997.0
ზრდა	25,173.7	28,026.0	20,108.2	7,917.8	43,890.6	26,893.6	16,997.0
კლება	13,365.7	10,400.5	10,400.5	-	930.0	930.0	-
V. მთლიანი სალდო	1,079.8	- 752.4	- 2,957.1	2,204.7	-35,892.8	-33,389.0	- 2,503.8
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	954.1	- 878.1	- 3,082.8	2,204.7	-36,018.5	-33,514.7	- 2,503.8
ზრდა	954.1	2,204.7	-	2,204.7	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	954.1	2,204.7		2,204.7	-	-	-
კლება	-	3,082.8	3,082.8	-	36,018.5	33,514.7	2,503.8
ვალუტა და დეპოზიტები	-	3,082.8	3,082.8	-	36,018.5	33,514.7	2,503.8
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 125.7	- 125.7	- 125.7	-	- 125.7	- 125.7	-
კლება	125.7	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
საშინაო	125.7	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
სესხები	125.7	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი		2024 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	
		სულ		სულ	



			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	52,020.5	59,003.4	47,704.1	11,299.3	50,625.3	34,027.8	16,597.4
შემოსავლები	38,654.8	48,603.0	37,303.6	11,299.3	49,695.3	33,097.8	16,597.4
არაფინანსური აქტივების კლება	13,365.7	10,400.5	10,400.5	-	930.0	930.0	
გადასახდელები	51,066.4	59,881.5	50,786.9	9,094.6	86,643.8	67,542.5	19,101.3
ხარჯები	25,767.0	31,729.8	30,553.0	1,176.8	42,627.5	40,523.2	2,104.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,173.7	28,026.0	20,108.2	7,917.8	43,890.6	26,893.6	16,997.0
ვალდებულებების კლება	125.7	125.7	125.7	-	125.7	125.7	-
ნაშთის ცვლილება	954.1	- 878.1	- 3,082.8	2,204.7	-36,018.5	- 33,514.7	- 2,503.8

მუხლი 3. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 49 695,3 ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
შემოსავლები	38,654.8	48,603.0	49,695.3
გადასახადები	21,967.2	26,336.2	27,274.7
გრანტები	7,050.2	11,299.3	16,612.6
სხვა შემოსავლები	9,637.5	10,967.5	5,808.0

მუხლი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 27 274,7 ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გადასახადები, მათ შორის:	21,967.2	26,336.2	27,274.7
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8,354.7	10,198.9	12,824.7
ქონების გადასახადი	13,612.5	16,137.3	14,450.0
საწარმოთა ქონებაზე	9,443.1	11,408.7	11,000.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	733.2	913.7	270.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	497.0	564.9	370.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,939.1	3,250.0	2,810.0



მუხლი 5. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან განისაზღვროს 16 612,6 ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	7,050.2	11,299.3	16,612.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან			15.1
მიმდინარე, მათ შორის:	828.8	1,003.3	871.2
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის	828.8	1,003.3	871.2
კაპიტალური, მათ შორის:	6,221.3	10,296.0	15,726.2
კაპიტალური ტრანსფერი	4,985.4	6,030.6	12,250.2
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე	99.9	2,804.2	2,630.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	836.0	846.0	846.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	-	345.2	-
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	300.0	270.0	-

მუხლი 6. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 5 808.0 ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	9,637.5	10,967.5	5,808.0
შემოსავლები საკუთრებიდან	4,511.3	5,012.9	2,120.0
პროცენტები	3,329.3	3,704.9	1,000.0
რენტა	1,182.1	1,308.0	1,120.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1,020.5	1,018.0	1,000.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან	161.6	290.0	120.0



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,334.4	1,765.8	1,440.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,279.3	1,710.8	1,400.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.4	3.8	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-	0.0	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	601.3	735.6	1,000.0
სანებართვო მოსაკრებელი	676.7	971.3	400.0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	55.1	55.0	40.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	55.1	55.0	40.0
სანქციები, ჯარიმები და საურავები	3,697.7	3,808.2	2,248.0
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	3,214.1	2,976.9	2,000.0
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	117.7	195.9	50.0
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	365.9	635.4	198.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	94.1	380.6	-
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	94.1	380.6	-

მუხლი 7. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 42 627,5 ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	25,767.0	31,729.8	30,553.0	1,176.8	42,627.5	40,523.2	2,104.3
შრომის ანაზღაურება	4,016.3	4,910.1	4,684.1	226.0	5,697.3	5,697.3	-
საქონელი და მომსახურება	5,930.3	7,914.4	7,209.7	704.6	11,152.1	9,787.3	1,364.8
პროცენტები	62.3	45.9	45.9	-	27.8	27.8	-
სუბსიდიები	13,770.9	16,591.1	16,345.0	246.2	19,738.8	19,468.5	270.3



გრანტები	42.0	67.0	67.0	-	192.0	192.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1,156.7	1,319.5	1,319.5	-	1,294.1	1,294.1	-
სხვა ხარჯები	788.5	881.7	881.7	-	4,525.4	4,056.2	469.2

მუხლი 8. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 42 960,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 43 890,6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 930,0 ათასი ლარი.

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	782.7	1,733.2	316.7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	782.7	1,733.2	316.7
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	20,616.3	23,066.4	39,431.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,797.5	16,012.1	22,450.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,143.9	1,203.5	3,345.3
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	701.0	172.3	42.2
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	122.4	99.0	1,592.2
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	-	-	1,030.5
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,454.9	2,242.3	2,733.4
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	679.5	1,271.4	2,074.0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	282.7	43.5	0.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	573.8	626.0	1,902.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	3,860.8	1,396.2	3,687.1
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა	-	-	575.3



	ჩართულობის ხელშეწყობა			
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	774.0	374.2	299.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	372.5	277.9	298.8
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	401.4	96.3	0.5
04 00	განათლება	638.8	1,089.8	250.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	97.5	4.4	78.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	323.0	1,085.4	167.7
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	218.3	-	4.4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,854.3	1,759.0	3,584.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,541.8	1,481.2	2,901.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	312.5	277.8	683.9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	507.6	3.4	7.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	505.2	2.7	7.8
06 02	სოციალური დაცვა	2.4	0.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	25,173.7	28,026.0	43,890.6

ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება, ჯამი	13,365.7	10,400.5	930.0
ძირითადი აქტივები	12,681.8	713.0	200.0
არაწარმოებული აქტივები	683.8	9,687.4	730.0

მუხლი 9. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა



7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8,202.8	9,879.8	9,535.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8,140.5	9,833.9	9,507.7
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,140.5	9,833.9	9,207.7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	300.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	62.3	45.9	27.8
7.2	თავდაცვა	246.4	291.0	0.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	246.4	291.0	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	14,470.5	19,601.0	31,570.0
7.4.5	ტრანსპორტი	9,970.7	17,019.2	25,442.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9,970.7	17,019.2	25,442.6
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4,499.8	2,581.8	6,127.4
7.5	გარემოს დაცვა	3,369.6	3,081.3	3,826.6
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,805.0	2,755.7	3,422.3
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	564.6	325.6	394.3
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში		0.0	10.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	10,641.5	9,605.7	19,829.6
7.6.1	ბინათმშენებლობა	253.2	185.6	2,425.1
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,271.2	2,819.4	6,732.0
7.6.3	წყალმომარაგება	3,760.0	2,696.7	6,278.2
7.6.4	გარე განათება	2,017.3	1,514.9	1,613.3
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,339.8	2,389.1	2,780.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	1,582.2	1,181.9	1,248.3
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	294.5	324.2	348.3
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,287.7	857.7	900.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,965.2	5,727.5	8,569.7
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,115.7	3,387.7	5,527.8
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,849.6	2,339.8	3,030.9
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	0.0	11.0



7.9	განათლება	6,796.9	9,280.4	9,676.9
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	6,113.3	8,711.9	9,026.1
7.9 2	ზოგადი განათლება	683.7	568.5	650.8
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	683.7	568.5	650.8
7 10	სოციალური დაცვა	665.7	1,107.1	2,261.4
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	98.0	122.5	133.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	375.0	759.1	1,856.9
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	192.6	225.6	271.5
	სულ	50,940.7	59,755.8	86,518.0

მუხლი 10. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს (-35 892,8) ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 7 067,8 ათასი ლარით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	12,887.8	16,873.1	7,067.8
მთლიანი სალდო	1,079.8	- 752.4	- 35,892.8

მუხლი 11. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 36 018,5 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	954.1	- 878.1	- 36,018.5
ზრდა	954.1	2,204.7	-
ვალუტა და დეპოზიტი	954.1	2,204.7	-
კლება	-	3,082.8	36,018.5
ვალუტა და დეპოზიტი	-	3,082.8	36,018.5

ფინანსური აქტივების კლება - 36 018,5 ათასი ლარი - წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო



მუხლი 12. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-125.7) ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	- 125.7	- 125.7	- 125.7
კლება	125.7	125.7	125.7
საშინაო	125.7	125.7	125.7
სესხები	125.7	125.7	125.7

ბიუჯეტის ვალდებულებების კლება, 125.7 ათასი ლარის ოდენობით, წარმოადგენს 5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავშობი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით, 2017 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

თავი II

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 51 399,6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	51,399.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	22,816.6
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	316.6
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	17,529.9
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	4,970.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	6,494.2
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	2,098.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	4,180.2
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	216.0



02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,613.3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,571.2
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	1,170.0
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	401.2
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	42.2
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,425.1
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2,626.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4,318.3
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელეები)	2,780.9
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	87.4
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	1,450.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	3,092.8
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	0.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2,072.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	4,590.0
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	1,351.2

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		22,816.6
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის მიზანი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ქვეითთა და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას.</p> <p>განხორციელდება არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო</p>		



	ინფრასტრუქტურის განახლება, ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების მომდებარე ტერიტორიის გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი; მოწესრიგებულია ადგილობრივი გზების ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		316.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ქვეითთა და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება, სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების დამონტაჟება; დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული საავტომობილო გზების ორმოული შეკეთება; სოფ. ლელუბანში ხიდის აღდგენა, წვიმისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან გზების გაწმენდა სოფლებში: თეზამი, კველიანი, ლელუბანი;		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		17,529.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება;		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება. დაფინანსდება შიდა საუბნო გზების კაპიტალური შეკეთება მუნიციპალიტეტის სოფლებში: მუხათყვარო, ლისი, არაშენდა, მისაქციელი (მე-8 და მე-11 მონაკვეთები), ქსანი, ვაზიანი, ძველი ქანდა, ახალუბანი, მუხრანი, წილკანი (I, II, III მონაკვეთები, სელექციის დასახლება, იგპ დასახლება), მუხათგვერდი, ნავაზი, ნიჩბისი, საგურამო (33-ე და 36-ე ქუჩები), წეროვანი (იგპ დასახლება, კვლევითი ინსტიტუტის დასახლება), ზაქარო, ნატახტარი, ძეგვი (ციხედიდის დასახლებაში მისასვლელი გზა), ჯილაურა, ნავდარაანთკარი, ბიწმენდი, გოროვანი, გალავანი, ჩარდახი, ძალისი, ციხისძირი, ქსოვრისი, წინამძღვრიანთკარი; სოფელ წილკნის და წეროვნის დამაკავშირებელი		



	გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კეთილმოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		4,970.1

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
--------------------------------	---

ქვეპროგრამის მიზანი	ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება;
---------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნის და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, გზებზე ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებთან; შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება.</p> <p>2024 წელს დაფინანსდება ქ. მცხეთაში, ბებრის ციხესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სამხედროს ქუჩაზე ტროტუარების, მოაჯირების და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია; ქ. მცხეთაში, შიდა საუბნო გზების (კონსტიტუციის და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზა; სამხედროს ქუჩის და კონსტიტუციის ქუჩის დამაკავშირებელი გზა) რეაბილიტაცია; დავით აღმაშენებლის ქ. N1-დან არსენას ძეგლთან მდებარე ხიდამდე ტროტუარების და საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია; დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში არსებული ხიდის მიმდებარედ, მტკვარზე გადასახედი მოედნის მოწყობა; სოფ. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმამდე მისასვლელი გზის გამყოფი ზოლის კეთილმოწყობა; სოფ. ადგომლიანთკარში, ე.წ. "შირი" ხევზე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მოწყობა, სოფ. კველიანში ბოგირის მოწყობა, ქ. მცხეთაში (მირიანის ქუჩაზე, პეტრე იბერიელის ქუჩა N27-ის მიმდებარედ და სხვა) საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია; სოფ. წილკანში, ტამრის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია; ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შექმნა/მონტაჟი/შეკეთება.</p>
---------------------	---

მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის გზებზე ტრანსპორტის და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	წელის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		6,494.2

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის



პროგრამის განმახორციელებელი	სამსახური; შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება;
პროგრამის აღწერა	<p>უახლოეს მომდევნო წლებში წყლის სისტემების განვითარება კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება; პროგრამა მოიცავს წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას;</p> <p>წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლებულებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებულია წყლის და წყალარინების სისტემა; უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება; გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	
	02 02 01	2,098.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“	
ქვეპროგრამის მიზანი	მცხეთის მუნიციპალიტეტის 62 სოფელში (12500 მომხმარებელი) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წყალსადენების რეგულარული მომსახურება, წყლის რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, ამორტიზებული, დაზიანებული ტუმბოების და ჩამკვეთ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთება;	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში დროულადაა აღმოფხვრილი წყალმომარაგების ქსელში დაზიანებები და უზრუნველყოფილია სუფთა სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი;	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		4,180.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალური რეაბილიტაცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა. ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერჯის ხარჯის ანაზღაურება.</p> <p>დაფინანსდება სოფ. ნიჩბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენების მოწყობა, სოფ. წილკანში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობა, მრავალსაფეხურიანი ჰორიზონტალური სექციური ტუმბოების შექმნა, სოფ. ხეკორში სასმელი წყლის მილსადენის მოწყობა; სოფ. შანკვეანში სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა; სოფ. ერედის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია; სასმელი წყლის ავზების შესყიდვა/მონტაჟი სოფლებში: შანკვეანი, ახალსოფელი, წილკანი; სოფ. ზაქაროს წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობა;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა; მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი; მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია წყალმომარაგების გამართული ქსელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		216.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	საკანალიზაციო სისტემის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის მიზნით განხორციელდება: საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი და ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება), სოფელ წინამძღვრიანთკარში და სოფელ ქსანში საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია; სოფ. ფრეხეთში წყალშემკრები აუზის რეაბილიტაცია;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება;		



პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	ათას ლარში
	02 03		1,613.3
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა გარე განათების ქსელის განვითარებას და ამ პროცესების მართვას.</p> <p>მუნიციპალიტეტში დამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების გამართული ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთის და 21 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 54 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართული ინფრასტრუქტურა;</p> <p>უზრუნველყოფილია დამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 01		1,170.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ მცხეთაში და მცხეთის მუნიციპალიტეტის 60 სოფელში გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება, დამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01 02		401.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		



ქვეპროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. მცხეთის და 21 ადმინისტრაციულ ერთეულში შემაჯავალ 54 სოფელში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რაც გულისხმობს გადაამწვარი ნათურების, დიოდური პროექტორების, ეკო სანათების, დიოდური სანათების, დროსელის და მწყობრიდან გამოსული სხვა ელექტრო მოწყობილობების შეცვლას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მთელი წლის მანძილზე, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება;</p> <p>დროულადაა აღმოფხვრილი პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		42.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს, უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია. დაფინანსდება სოფ. მუხრანში გარე განათების ქსელის მოწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართული ინფრასტრუქტურა;		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		2,425.1
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და ვიზიტორებისთვის სუფთა კომფორტული მიმზიდველი გარემოს შექმნა		
	<p>მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების უსაფრთხო და გამართული ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად, გარკვეული პერიოდულობით აუცილებელია მცირე კაპიტალური, სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p>		



პროგრამის აღწერა	გამხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა; სოფ. წეროვანში ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“-ს და შპს "მცხეთის სოფწყალი"-ს განთავსების შენობების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში სასაწყობე მეურნეობის მოწყობის სამუშაოები; სოფ. მუხრანში საცხოვრებელი კორპუსების რემონტი, ქ. მცხეთაში, მირიანის ქუჩაზე სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია;
მოსალოდნელი შედეგი	ხელმისაწვდომია და ეფექტურადაა განხორციელებული მუნიციპალური სერვისები; გაუმჯობესებულია ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე;

პროგრამის დასახელება	კოდი	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		2,626.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და ვიზიტორების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი და ხარისხიანი ფუნქციონირება;		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. 2024 წელს განხორციელდება ავტობუსების ტექნიკური მომსახურების, ხელშეკრულების პირობების მიხედვით 10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების ანაზღაურების დაფინანსება. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა, ავტობუსებში მგზავრთა აღმრიცხველების (მთვლელი მოწყობილობის) დამონტაჟება და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და ვიზიტორების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		4,318.3
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისთვის; კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის.		



პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, რეკრეაციული ზონების, მოსაცდელეების მოწყობა/რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და მოსახლეობისთვის შექმნილია კომფორტული და ჯანსაღი გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელეები)	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		2,780.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	სარეკრეაციო და გამწვანებული სივრცეების გაფართოება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სარეკრეაციო დასასვენებელი სივრცეების და სკვერების მოწყობა, არსებულის აღდგენა-რეაბილიტაცია, სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება.</p> <p>დაფინანსდება ქ. მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში, სააკაძის ქუჩის ბოლოში არსებული სკვერის და ღართისკარის დასახლებაში არსებული სარეკრეაციო დასასვენებელი ზონების (სამხედროს ქ. N12 არსებული სკვერის) რეაბილიტაცია.</p> <p>განხორციელდება სკვერების მოწყობა სოფ. ძეგვში (ს/კ.72.11.08.045), სოფ. ნიჩბისში (ს.კ N72.15.07.147), სოფ. ციხისძირში (ს/კ 72.10.02.104-ის მიმდებარედ); მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი, გაუმჯობესებული და ახლად მოწყობილია სარეკრეაციო სივრცეები; უზრუნველყოფილია ეკოლოგიურად სუფთა გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		87.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის სუფთა, კომფორტული, მიმზიდველი გარემოს შექმნა;		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ბორდიურების და კედლების სარემონტო სამუშაოები, განათების ბოძების და მოაჯირების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების და სკამების შეკეთება. დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია.		
მოსალოდნელი შედეგი	<p>შეუფერხებლად ხორციელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;</p> <p>გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის იერსახე და დასასვენებელი პირობები მოსახლეობისათვის.</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		1,450.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა; სადღესასწაულო გარემოს შექმნა;		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სათანადო ყურადღება ეთმობა სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას სადღესასწაულო განწყობა ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისთვის.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლო დეკორაციების და მასალების შექმნა, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი/ექსპლუატაცია/დემონტაჟი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკურად უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ტექნიკურად უზრუნველყოფილი სადღესასწაულო ღონისძიებები. შექმნილია სადღესასწაულო გარემო;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		3,092.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა;		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში (სოფლებში), საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, მცირე - 60 ათას ლარამდე ღირებულების - სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, მოხრეშვა-მოწესრიგება, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, სკვერების, სტადიონების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.</p> <p>მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება 846,0 ათასი ლარით, ხოლო მუნიციპალური ბიუჯეტიდან - 1692,0 ათასი ლარით (თანადაფინანსება 200%).</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>პროექტების განხორციელებით უზრუნველყოფილია სათანადო სერვისების მიწოდება მოსახლეობისთვის.</p>		

კოდი	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და	2024 წლის დაფინანსება
------	--	-----------------------



ქვეპროგრამის დასახელება		ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	ათას ლარში
	02 08		0.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიაღვრე არხების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, კოლექტორების და მილიგაყვანილობის რეაბილიტაცია ჩამდინარე წყლის (წვიმის ან სხვა სახის ჩამდინარე წყლის) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გასატანად, ასევე, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია და გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სარწყავი და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		2,072.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;		
პროგრამის მიზანი	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესაბამისი დასკვნების მომზადება.		
პროგრამის აღწერა	სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სამიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, 50 000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისთვის საჭირო სრულყოფილი, ექსპერტიზაგავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დროულად და კვალიფიციურად არის მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით უზრუნველყოფილია შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი ისე, რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 10		4,590.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		



ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირსამაგრების აღდგენითი სამუშაოები; განხორციელდება ქ. მცხეთაში, ბებრის ციხის მიმდებარედ, მდ. არაგვის ხეობაში ნაპირსამაგრის მოწყობა; სოფ. ბიწმენდში, ახატნის ხევიში ნაპირსამაგრის მოწყობა (II ეტაპი); სოფ. ნავდარაანთკარში, თეზამის ხევიში ნაპირსამაგრის მოწყობა; 2023 წლის სექტემბერში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღსადგენად სამშენებლო მასალების შექმნა, დაზიანებული წყლის მილების შეკეთება სოფლებში: ნავდარაანთკარი, ლელუბანი; დაზიანებული გზების აღდგენა სოფლებში: თეზამი, კველიანი; შიომღვიმის მონასტრის მიმდებარედ არსებული ხევის გაწმენდა მთიდან ჩამოტანილი ნაშალი მასისგან; ქ. მცხეთაში, ღართიკარის დასახლებაში, საბავშვო ბაღთან საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>დროულადაა აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები;</p> <p>დროულადაა უზრუნველყოფილი მგზავრთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილება, შემცირებულია მგზავრობის დრო;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
		02 11	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილების და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის.</p> <p>მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ, განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები.</p> <p>მიმდინარე წელს პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება 450,4 ათასი ლარით, ხოლო მუნიციპალური ბიუჯეტიდან - 900,8 ათასი ლარით (თანადაფინანსება 200%).</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია მოსახლეობის აზრი საკუთარი დასახლების პრობლემების გადაწყვეტაში.</p>		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3 826,6** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,826.6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,422.3
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	394.3
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	284.7
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	109.6
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	10.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		3,422.3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში უახლოესი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იქნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებისა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცალკეული ტერიტორიის მწვანე საფარის, ქუჩების, გზების, სულ 179,420 კვ.მ. ფართობის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (დღეში 50 ტონა ნარჩენი) 45 კმ-ზე კასპის ნაგავსაყრელზე 12 ნაგავმზიდით, სანაგვე კონტეინერების (1,1 მ³ ტევადობის 1570 ერთეული კონტეინერი) მოვლა-პატრონობა, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან.</p> <p>ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები მოიცავს ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ადმინისტრაციულ ხარჯებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02 01		284.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებულ		



პროგრამის მიზანი	ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია.</p> <p>მუნიციპალიტეტში მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად იქნება ჩატარებული სხვადასხვა სახის სამუშაოები: მწვანე საფარის გაცეცხვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე-მცენარეების ამოძირკვა და გატანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, ხე-მცენარეების შეხვევა/გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა, საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა, გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა;</p>
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების გაშენება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02 02		109.6
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური;		
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა.		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიკური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით დეკორატიულად იქნება გაფორმებული ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია, განხორციელდება ხე-მცენარეების გადაბეღვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		10.0
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის მიზანი	უმეტესწილად დარჩენილი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება		



პროგრამის აღწერა	დაგეგმილია უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბრუნების (TVNR) პროგრამა, მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია უმეტესწილად უპატრონო შინაური ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9 676,9 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	9,676.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	8,392.9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	252.7
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	380.5
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	650.8

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		8,392.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“		
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა		
პროგრამის აღწერა	<p>ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1800-მდე ბავშვი.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. სკოლამდელი დაწესებულებებში დასაქმებულია 555 თანამშრომელი, მ.შ. 137 აღმზრდელი და 88 თანაშემწე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნას, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვას, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთებას და მოვლა-შენახვას, დასაქმებული პერსონალის მრომითი პირობების გაუმჯობესებას.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო;
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		252.7
პროგრამის განმახორციელებელი	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა.		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობის მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება. დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია (ვენტილაცია, გათბობა), მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საქვაბეების გარეთ გამოტანა; ქ. მცხეთაში, რკ/სადგურის დასახლებაში ყოფილი ტურისტული ბაზის ტერიტორიიდან (ს/კ 72.07.07.592) სასმელი წყლის და ბუნებრივი აირის მილის გადატანა, სოფ ჩარდახის და სოფ. ქანდის საბავშვო ბაღების გაზომომარაგების (შიდა დაქსელვა) მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		380.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს ყოველდღიურად დაახლოებით 230 ბავშვის წაყვანას ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათ უკან, სახლში დაბრუნებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ტრანსპორტით უზრუნველყოფილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		650.8
	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;		



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა და მაღალი აკადემიური მოსწრების სტიმულირება;
პროგრამის აღწერა	<p>განათლება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტ სწავლის სისტემის განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა, იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სკოლის მოსწავლეების სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება, ვინაიდან მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს.</p> <p>მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეებს წახალისებს ფულადი ჯილდოთი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლების მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრება; ტრანსპორტით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეები;

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **8,569.7** ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	8,569.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	5,527.8
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,391.3
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	359.3
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	309.0
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	633.0
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	313.0
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	627.0



05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	150.0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	3,136.5
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,041.9
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	2,069.0
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2,027.0
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	652.9
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	11.0
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	309.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება
	05 01		ათას ლარში
			5,527.8
პროგრამის განმახორციელებელი	<p>ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;</p> <p>ა(ა)იპ „უმბლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;</p> <p>ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“;</p> <p>ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“</p> <p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;</p>		
პროგრამის მიზანი	<p>მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.</p>		
პროგრამის აღწერა	<p>ფიზიკური აქტივობა აუცილებელია ადამიანისათვის, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, აძლიერებს იმუნიტეტს და ავითარებს ტვინის უჯრედებს, ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელი თვისებით, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქციით. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.</p> <p>ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები). დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღი გასართობი მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდთა თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.</p> <p>მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.</p>		



	პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, საცურაო სპორტის, რაგბის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახეობებში საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები; მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		359.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“		
ქვეპროგრამის მიზანი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 17 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი), სადაც ჩარიცხულია 315 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 9 სოფელში და ქ. მცხეთაში. 3 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას იღებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში, დანარჩენი 14 ჯგუფი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ პირველობაზე 3 ასაკობრივ კატეგორიაში		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა, გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 02		309.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“		
ქვეპროგრამის მიზანი	წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისთვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ნიჩბოსნობას ეუფლება 90 სპორტსმენი (11 ჯგუფი). ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის“ დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნის		



	გარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობა;</p> <p>გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;</p> <p>წარმატებული გამოსვლა ეროვნულ ჩემპიონატებში და საერთაშორისო შეჯიბრებებში</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		633.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“		
ქვეპროგრამის მიზანი	ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის უმაღლესი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილე სკოლის ნიჭიერი/წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი /ფასიანი საჩუქრებით.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		313.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“		
ქვეპროგრამის მიზანი	<p>სპორტის სხვადასხვა სახეობების - ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვანდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის - პოპულარიზაცია;</p> <p>მასობრივი სპორტის სახეობების განვითარება.</p>		
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 16 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი (კარატეს - 5, ველოსპორტის - 4, კრივის - 2, კალათბურთის - 2, ფრენბურთის - 1, ტაეკვანდოს - 1, ჭადრაკის - 1) კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 264 მოსწავლე.		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ფიზკულტურასა და სპორტში;</p> <p>გაუმჯობესებულია სპორტსმენების სპორტული მიღწევები;</p>		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		627.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“		
ქვეპროგრამის მიზანი	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, რათა მთლიანობაში კომპლექსი გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.		
ქვეპროგრამის აღწერა	კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს, როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 06		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“		
ქვეპროგრამის მიზანი	რაგბის კლუბის ჩამოყალიბება და განვითარება; სარაგბო სპორტული ღონისძიებების მოწყობა და ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობა;		
ქვეპროგრამის აღწერა	რაგბის კლუბის ჩამოყალიბების და მისიის განვითარების მიზნით დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“, რომლის ერთ-ერთ წევრს (დამფუძნებელს) დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან ერთად წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტი. განხორციელდება რაგბის კლუბის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		3,136.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტის განვითარების და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდა, საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.		



ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა. დაფინანსდება სოფ. ქსოვრისში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, სოფ. მუხრანში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა, ქ. მცხეთაში, თეატრონის მიმდებარედ საკალათბურთო ღია მოედნის მოწყობა, სოფ. წეროვანში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ. წილკანში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა; სპორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		3,041.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“; სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“; ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი";		
პროგრამის მიზანი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება კულტურული ღონისძიებები, რაც მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს.</p> <p>პროგრამის მეშვეობით განხორციელდება კულტურის პოპულარიზაცია და გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა, დაცული იქნება თვითგამოხატვის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ხელოვანებს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვა და სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვისა და კულტურათა შორის დიალოგის გაღრმავება.</p> <p>კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, კულტურის პოპულარიზაციის და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდება ა(ა)იპ „კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“-ს, ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ და სსიპ „ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი“-ს ხელშეწყობა; კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება, კულტურის სფეროს დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		2,027.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“		



ქვეპროგრამის მიზანი	კულტურული მრავალფეროვნების წახალისება, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარებას, რომელიც მოიცავს საფინანსო-საორგანიზაციო დაგეგმარებით საკუთარი შემოსავლების ზრდას. აღნიშნული მოხმარდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამედროვე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას. ფინანსური და სასწავლო პროგრამული რესურსი თანაბრად განაწილდება ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი"-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულზე. განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გაიზრდება მოსწავლე-ახალგაზრდების კონტინგენტი, კულტურათმშორისი დიალოგი მუნიციპალიტეტებს შორის, განმტკიცდება საერთაშორისო კავშირები (ფესტივალი, კონკურსი, კონცერტი, გაცვლითი პროგრამები, ფლემ მობები და სხვა) - რაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არამარტო კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობაა, არამედ ტურიზმის, ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის.</p> <p>ქვეპროგრამა ხელს უწყობს კულტურული ცენტრებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და ქალების/გოგონებისა და კაცების/ზიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის სფეროს დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება და მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.</p> <p>წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება;</p> <p>უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება
	05 02 01 04		ათას ლარში
			42.0
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“		
ქვეპროგრამის მიზანი	სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს ფუნქციონირების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის აღწერა	სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბალ-ვენახით. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები.		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს გამართული ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--	-------------------------------------



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის პოპულარიზაცია , შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელდება კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. დაფინანსდება მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისთვის; განხორციელდება კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფლებში: ერედა, საგურამო;
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია შემოქმედებითი პროცესები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		11.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი		კეთილმოწყობილია ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიები;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		309.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებათა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობაში ჩართულობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედამხედველი არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და	



	ინსტიტუციური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის **3 509,7** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,509.7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,248.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	348.3
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	900.0
06 01 03	ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0
06 02	სოციალური დაცვა	2,261.4
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,856.9
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	125.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	57.0
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	85.5
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	133.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		348.3



პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"
ქვეპროგრამის მიზანი	სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი
ქვეპროგრამის აღწერა	<p>გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი;</p> <p>ინფექციურ დაავადებათა სისტემაში შეყვანა (72 დაავადება);</p> <p>სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება;</p> <p>ადრეულ და სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და ზედამხედველობა;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებში თამბაქოს კონტროლი;</p> <p>ს ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერა და სკრინინგი;</p> <p>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელება და ხელშეწყობა;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება;</p>
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის მართვა და ინფექციური დაავადებების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, ს ჰეპატიტზე დადასტურებული შემთხვევების მკურნალობაში ჩართვა, გადამდები ფაუნის შემცირება დამუშავებული ტერიტორიების საფუძველზე, თამბაქოს კონტროლის კანონის სისრულეში მოყვანა, სააღმრთელო დაწესებულებებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;

პროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		900.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანი	ხელმისაწვდომი ჯანდაცვა		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის მცხეთის მუნიციპალიტეტი და არ ფინანსდება სხვა მუნიციპალიტეტის მიერ) სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით.</p> <p>ა) დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს დარჩენილი აქვს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე, ხოლო 5000 (ხუთი ათასი) და მეტის შემთხვევაში - 3000 (სამი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით.</p> <p>ბ) 501 ლარამდე გადაწყვეტილებას იღებს კომისია;</p> <p>გ) 501 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსებაზე თანხმობის მისაღებად, კომისიის და/ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.</p> <p>დ) 151 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება, (გარდა პრიორიტეტული ჯგუფებისა);</p> <p>სამედიცინო მომსახურების 100%-მდე (3000 ლარამდე) დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.</p>		



წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისთვის ბენეფიციარზე გაცემული თანხის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს.

- **აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების დახმარება** კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია, ქცევითი თერაპია, მეტყველების თერაპია); პროგრამით მოსარგებლე პირზე დახმარება გაიცემა წელიწადში არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა;

- **ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება** - დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

მოსალოდნელი შედეგი ქვეპროგრამის კრიტერიუმებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		1,856.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის უზრუნველყოფა ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით;		
